სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრი

2017 წლის მეორე კვარტლის

ანგარიში

2017 წლის მეორე კვარტალში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში, ჩატარდა ოთხი ტრენინგი „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“ სახელმწიფო უწყებების, მათზე დაქვემდებარებული სსიპ-ებისა და შპს-ების, საქართველოს მუნიციპალიტეტების ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული და მათ მართვაში არსებული კერძო სამართლის იურიდიული პირების (ააიპ-ების, შპს-ებისა და სხვ.), ასევე საჯარო სკოლების შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტებისათვის.

სულ გადამზადდა 298 მსმენელი. აქედან, 142 მსმენელი სახელმწიფო უწყებების, 58 ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების, ხოლო 98 - საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

298 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 219 ქალი და 79 მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი:

35 წლამდე - 138 მსმენელი; 50 წლამდე - 143 მსმენელი; 65 წლამდე - 17 მსმენელი.

2017 წელს, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ, გაიცა სამი კატეგორიის სერტიფიკატი. მათ შორის:

„წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ – **9 სმენელი;**

„კარგად ჩააბარა ტესტირება“ – **182 მსმენელი;**

„დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – **95 მსმენელი;**

ვერ გადალახა ზღვარი - **5 მსმენელი;**

არ გამოცხადდა ტესტირებაზე - **7 მსმენელი;**

მსმენელთა ანონიმური გამოკითხვის ანკეტების (298 -დან წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 292 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:

ძალიან კარგი - **245 მსმენელი; 84 %**

კარგი - **47 მსმენელი; 16.1 %**

არადამაკმაყოფილებელი - **0 %**

2. მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:

ძალიან წარმატებული - **132 მსმენელი; 45 %**

წარმატებული - **156 მსმენელი; 53.42 %**

წარუმატებელი - 4 **მსმენელი; 1.37%**

3. მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:

ნორმალური - **211 მსმენელი. 72.26 %**

ხანგრძლივი - **4 მსმენელი; 1 %**

ხანმოკლე - **77 მსმენელი; 26.37 %**

4. მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:

აუცილებელია - **181 მსმენელი. 61.99 %**

საჭიროა - **110 მსმენელი; 37.67 %**

არ არის საჭირო - **1 მსმენელი; 0 %**

5. ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:

კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - **219 მსმენელი; 75 %**

კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისია - **67 მსმენელი; 22.95 %**

არაკვალიფიციურად არის შედგენილი - 6 **მსმენელი; 2.05 %**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის ამოქმედების დღიდან ანუ 2014 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე, გადამზადებულია **2131 (ორიათასასოცდათერთმეტი)** შესყიდვების კუთხით დასაქმებული სპეციალისტი.

მათ შორის: **963 (ცხრაასსამოცდასამი)** მსმენელი სახელმწიფო უწყებების, ხოლო **1015 (ათასთხუთმეტი)** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათ მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების, **98 (ოთხმოცდათვრამეტი)** საჯარო სკოლების შესყიდვების სფეროში დასაქმებული სპეციალისტი. ასევე, **55 (ორმოცდათხუთმეტი)** ბიზნეს-სექტორის წარმომადგენელი

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია